საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის ბიუჯეტის მუხლების შესრულების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის ბიუჯეტის წლიური გეგმის მიხედვით, 2014 წლის წლიურმა დარიცხულმა ერთობლივმა შემოსავალმა (რეგულირების საფასური) ნაცვლად 2014 წლის წლიური ბიუჯეტით გათვალიწინებული 8,759,900.00 ლარისა (2,859,900.00 ლარის სარეზერვო ფონდის ჩათვლით), შეადგინა 8,272,875.03 ლარი (ანგარიშს თან ერთვის დანართი №1), რაც 487,024.97 ლარით ანუ 5.56%-ით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე, ხოლო სარეზერვო ფონდის გარეშე 2014 წელს რეგულირების საფასურით მიღებული შემოსავალი 8,272,875.03 ლარი, 2,372,875.03 ლარით ანუ 40.22%–ით მეტია კომისიის ბიუჯეტით, რეგულირების საფასურიდან მისაღებ (დაგეგმილ) შემოსავლებზე. დარიცხული შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ლიცენზიის მფლობელი ან/და ავტორიზებული პირების მიერ 2013 წლის რეგულირების საფასურის გაანგარიშებების დაგვიანებით წარმოდგენა, ანუ 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გარკვეული შემოსავლების დამატება 2014 წლის წლიურ შემოსავლებზე.

2014 წლის შემოსავლების ზრდის (სარეზერვო ფონდის გარეშე) მიუხედავათ, საერთო ჯამში, 1,261,894.86 ლარით ანუ 14.92%-ით მეტია კომისიის 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვითი ნაწილი, რომელმაც 8,459,900.00 ლარის ნაცვლად შეადგინა 9,721,794.86 ლარი.

კომისია აღნიშნავს, რომ მიუხედავად ხარჯვითი ნაწილის უმრავლეს პუნქტებში მიღებული ეკონომიისა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცალკეულ მუხლებში აღინიშნა გადახარჯვები. კერძოდ:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე, რომელიც კომისიის მიერ დამტკიცებული იქნა 2013 წლის 29 ნოემბრის №699/21 გადაწყვეტილებით, შრომის ანაზღაურების წლიურმა ფაქტიურმა ხარჯებმა, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების წლიური, ფაქტიური ხარჯების გარეშე, საბიუჯეტო ანარიცხებთან ერთად 4,907,863,02 ლარი ანუ ბიუჯეტით დამტკიცებულზე 42,863.02 ლარით მეტი შეადგინა. აღნიშნული გადახარჯვის ერთ–ერთი ძირითადი მიზეზი არის, კომისიის 2014 წლის 27 თებერვლის №118/19 გადაწყვეტილებით, კომისიაში დასაქმებულთათვის შრომის ანაზღაურების მატება, რომელმაც სხვაობის სახით, შრომის ანაზღაურების ფონდზე დამატებით, ყოველთვიურად შეადგინა 85,000.00 ლარი. აღნიშნულმა სხვაობამ ასევე დიდი გავლენა იქონია კომისიაში დასაქმებულთა წახალისებისათვის წლის განმავლობაში გახარჯულ პრემირების ფონდის ზრდაზე. აგრეთვე, 2014 წლის განმავლობაში საქართველოში გაიმართა ორი დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სიმპოზიუმი (EPRA და ITU), რომელთა ჩატარებაში და ორგანიზებაზე ჩართულ კომისიის აპარატში დასაქმებულთა წახალისების მიზნით დამატებით გამოყოფილი იქნა თანხები პრემირების ფონდიდან. სულ წლის განმავლობაში პრემირების ფონდიდან გამოყოფილმა ხარჯმა, საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით მთლიანობაში შეადგინა – 2,723,946.55 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 13/14/17);

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯებმა შრომის ანაზღაურების ჩათვლით, ნაცვლად 2014 წლისთვის დაგეგმილი – 109,900.00 ლარისა (სადაც 10,000.00 ლარი გამოყოფილი იყო სხვა ხარჯებისთვის, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე 99,900.00 ლარი) შეადგინა – 276,318.13 ლარი (სადაც სხვა ხარჯებისთვის გაიხარჯა 1,036.90 ლარი, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით გაიხარჯა – 275,281.23 ლარი), რაც 166,418.13 ლარით მეტია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე. აღნიშნული გადახარჯვა გამოწვეულია სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდით, ასევე კომისიის ბიუჯეტიდან დასაქმებულთა მატერიალური წახალისების მიზნით დამატებითი თანხების გამოყოფით (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 15/16);

ამავე დროს, 2014 წლის კომისიის ბიუჯეტის ძირითად მუხლებში წლის განმავლობაში, ფაქტიური შედეგების მიხედვით მიღებულია ეკონომია, კერძოდ:

კომისიის საჭიროებისათვის 2014 წელს ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 245,600.30 ლარი, რომელიც შესაბამის პერიოდში კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე 554,399.70 ლარით ანუ 69.30%-ით ნაკლებია. ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯვითი ნაწილის მუხლში ეკონომია გამოწვეულია იმით, რომ 2014 წელს ვერ განხორციელდა (შესასრულებლად გადატანილი იქნა 2015 წელს) კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის

გაზრდისათვის აუცილებელი მოწყობილობებისა და დანადგარების შეძენა, აგრეთვე ახალი სტაციონალური სადგურის და ანძის მშენებლობა და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკით აღჭურვა (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 1);

საკანცელარიო, საფოსტო, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და პოლიგრაფიული მომსახურების წლიურმა დანახარჯებმა 2014 წელს 44,058.93 ლარი ანუ დაგეგმილზე 20,941.07 (32.22%-ით) ლარით ნაკლები შეადგინა. მათ შორის: საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა – 10,003.15 ლარი, საფოსტო ხარჯებმა – 23,455.78 ლარი, პოლიგრაფიულმა ხარჯებმა – 6,352.00 ლარი, ხოლო ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ხარჯებმა – 4,248.00 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 2);

დასახელება	დაგეგმილი 2014 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ–გაზეთების ხარჯები	65,000.00	44,058.93	–20,941.07

კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 240,000.00 ლარისა, 2014 წლის ფაქტიური მონაცემებით მთლიანობაში შეადგინა - 131,124.31 ლარი ანუ კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ წლიურ მაჩვენებელზე – 108,875.69 (54.40%–ით) ლარით ნაკლები. ამ პუნქტით არსებული დანახარჯებიდან ელექტროენერგიის მთლიანმა ხარჯმა, სტაციონალური სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების ჩათვლით შეადგინა – 47,310.26 ლარი; წყლის ხარჯმა, ტექნიკურ წყალთან ერთად - 9,693.67 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯმა - 18,078.00 ლარი, ხოლო კომუნიკაციის ხარჯმა, საკაბელო ოპერატორების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯის ჩათვლით - 56,042.38 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 3);

დასახელება	დაგეგმილი 2014 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები. მათ შორის:	240,000.00	130,560.49	–109,439.50
კომუნიკაციის და საკაბელო ოპერატორების მიერ გაწეული მომსახურება		56,042.38	
ელექტროენერგიის მთლიანი ხარჯი, სტაციონალური სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების ჩათვლით		47,310.26	
წყლის ხარჯი, ტექნიკურ წყალთან ერთად		9,693.67	
ბუნებრივი აირის ხარჯი		18,078.00	

ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯებმა 2014 წლის ფაქტიური დანახარჯების მიხედვით შეადგინა 135,384.58 ლარი, რაც 94,615.42 ლარით ნაკლებია 2014 წლის კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე. აღნიშნული ხარჯიდან 67,625.31 ლარი შეადგენს მოხმარებული ბენზინის საწვავის ხარჯს, ხოლო – 16,018.99 ლარი მოხმარებული დიზელის საწვავის ხარჯს. 48,540.28 ლარი შეადგინა კომისიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რემონტის ხარჯმა, რაც საფუძველი გახდა იმისა, რომ კომისიას განეახლებინა

ავტოპარკი რათა შემდგომ წლებში შემცირებულიყო ავტომანქანების რემონტის ხარჯვითი ნაწილი. 2014 წელს კომისიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რეცხვის ხარჯმა შეადგინა – 3,200.00 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 4);

დასახელება	დაგეგმილი 2014 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები მათ შორის:	230,000.00	135,384.58	–94,615.42
ავტომანქანების საწვავის ხარჯი		83,644.30	
ავტომანქანების რემონტის ხარჯი		48,540.28	
ავტომანქანების რეცხვის ხარჯი		3,200.00	

მივლინების წლიურმა ხარჯებმა, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული 300,000.00 ლარისა, შეადგინა – 202,476.54 ლარი. აღნიშნული თანხა 97,523.46 ლარით ანუ 32.51% შესაბამის პერიოდში კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე, ხოლო 10,507.76 ლარით ნაკლებია 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელზე. მივლინების ხარჯები ძირითადად შედგება ისეთი მიზნობრივი მივლინებების ფაქტიური დაფინანსებებით, რომელთაგან ძირითადად აღსანიშნავია ქვეყნის ფარგლებს გარეთ, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის (მომსახურების ხარისხი და მომხმარებელთა დაცვა) ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე დასწრება, “CEPT”-ის ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტის (ECC) რადიოსიხშირული სპექტრის მართვის შემსწავლელი ჯგუფის (WG FM) მორიგ 79–ე სხდომებზე დასწრება, ქ. გრაცში (ავსტრია) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ავსტრიის თავმჯდომარეობის ფარგლებში ორგანიზებულ კონფერენციაზე – „Saping the digital environment-ensuring our on the internet“ – დასწრება, ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) 63–ე გენერალურ ასამბლეაზე დასწრება, ქ. კიშინიოვში საკონსულტაციო ფირმა „ფრაისვოტერსჰაუსკუპერსის“ მიერ ორგანიზებულ (ფართოზოლოვანი ახალი გენერაციის ქსელები) სემინარზე დასწრება, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მიერ ორგანიზებულ ტელეკომუნიკაციების განვითარების მსოფლიო კონფერენციაზე დასწრება, ქ. ფრაუნფილდში, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ჯგუფის შეხვედრების ფარგლებში სემინარში მონაწილეობა, ქ. პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკის ელექტრონულ კომუნიკაციების ოფისში – ჩეხეთის მარეგულირებელსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, ქ. მინსკში, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის ფარგლებში („ბროდბენდის განვითარება“) გამართულ სამუშაო შეხვედრაზე და TIBO-ს კონფერენციაზე დასწრება, მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის (EPRA) 39–ე შეხვედრაში მონაწილეობის მიღება, ქ. ოქსფორდში, ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში (მეოთხე თაობის მობილური კავშირგაბმულობის ქსელების LTE - ფიზიკური ტოპოგრაფია, რადიოსიხშირული დაგეგმარება) მონაწილეობის მიღება, თურქეთის რესპუბლიკის ელექტრონული კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ორგანოს (ICTA) მიერ გამართულ სასწავლო სემინარზე დასწრება, პოლონეთში, ქ.ვარშავაში ელექტრონული კომუნიკაციების ოფისში ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობის მიღება, ქ. ტრონდჰეიმში CEPT-ის ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტის (ECC) რადიოსიხშირული სპექტრის მართვის შემსწავლელი ჯგუფის (WG FM) მორიგ მე–80 სხდომაზე დასწრება, ქ. ბაქოში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ccTLD რეგისტრატორებისა და რეესტრი ოპერატორების მე–7 საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრება, ქ. ჟენევაში ITU–სა და ICT–ს ინდიკატორების ექსპერტთა ჯგუფების სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება და სხვა. აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მივლინებების დაფინანსება, რომლებიც ძირითადად ემსახურებოდა ლიცენზირებული და ავტორიზებული პირების სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგს და რადიოელექტრონული მოწყობილობების

პელინგაციასა და ტექნიკური მახასიათებლების ადგილზე შემოწმებას (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 5);

2014 წელს, საბანკო მომსახურების ფაქტიურმა ხარჯებმა ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული 10,000.00 ლარისა შეადგინა – 1,376.10 ლარი, ანუ 8,623.90 ლარით ნაკლები (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 6);

კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯების მუხლით, 2014 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით შეადგინა 486,017.89 ლარი, რაც 58,982.11 ლარით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული წლიურ მაჩვენებელზე. აღნიშნულ მუხლში კომისიის აპარატში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მუშა სემინარებში მონაწილეობისათვის 2014 წელს გაიხარჯა – 40,539.63 ლარი, ხოლო კონფერენციების (მათ შორის: მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის EPRA–ს კონფერენციის კუთხით 93,758.58 ლარი (არასრული თანხა), ამ კონფერენციისთვის მომსახურე კომპანიების მიერ 2014 წლის 31 დეკემბრამდე წარმოდგენილი ინვოისებით (ხარჯთაღრიცხვით) და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ETSI–ის (ICT) ინდიკატორების (WTIS 2014) სიმპოზიუმის ხარჯით – 340,964,38 ლარი) ჩატარების კუთხით – 445,478.26 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 7);

სხვადასხვა საწევრო გადასახადების მუხლით, კომისიის მიერ დახარჯულია 19,725.86 ლარი. საწევრო გადასახადების კუთხით ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტში (ETSI) გადარიცხულია 14,440.80 ლარი, ხოლო მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის ორგანიზაციაში (EPRA) – 5,285.06 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 8);

სამეცნიერო – საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯების კუთხით, 2014 წელს კომისიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 850,000.00 ლარის ხარჯი. 2014 წელს ამ მუხლით სულ გახარჯული იყო 229,860.92 ლარი, რაც 620,139.08 ლარით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე. კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის კუთხით სიხშირული განაწილების დაგეგმარებაზე – 28,798.92 ლარი, აუდიტორულ მომსახურებაზე – 1,500.00 ლარი, ხოლო საკონსულტაციო მომსახურებაზე – 195,762.00 ლარი. ამ მუხლით განსაზღვრული ხარჯების სრულად ათვისება ვერ განხორციელდა კომისიის მიერ, მაგრამ კომისიის გადაწყვეტილებით კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის, მნიშვნელოვანი და აუცილებელი კვლევები შესასრულებლად გადატანილი და დამტკიცებული იქნა კომისიის 2015 წლის ბიუჯეტში (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 9);

11,796.62 ლარით ანუ 4.37%–ით ნაკლებია სხვა საერთო ხარჯების მუხლით გათვალისწინებული დანახარჯები, რომელმაც ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული 270,000.00 ლარისა შეადგინა 258,203.38 ლარი. აღნიშნული ეკონომია მიღებულია: კომისიის მიერ სხვადასხვა სააგენტოების მეშვეობით განცხადებების გავრცელებით, რომლის ღირებულებამ შეადგინა – 2,900.00 ლარი, შენობის დაცვის ხარჯებით – 66,000.00 ლარი, სამედიცინო დაზღვევის ხარჯებით –79,495.00 ლარი, საინფორმაციო მომსახურების ხარჯებით – 4,477.00, სხვა წინასწარ გაწეულმა ხარჯებმა (კარტრიჯების დატენვა, კომპიუტერების მაკომპლექტებელი ნაწილების შეძენა) შეადგინა – 23,511.04 ლარი, კომპიუტერულ-პროგრამულმა ხარჯებმა შეადგინა – 600.00 ლარი, კომისიის ვებ გვერდის მომსახურებით – 50,970.14 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ - 9,445.75 ლარი, კომისიის შენობაში განთავსებულმა ლიფტის წლიურმა მომსახურებამ - 1,800.00 ლარი; სანიტარულმა და სამედიცინო მომსახურებამ და დასუფთავების მოსაკრებელმა – 3,614.40 ლარი, თარგმნითი სამუშაოების ხარჯებმა – 3,430.08 ლარი, სხვა საერთო ხარჯმა, არამატერიალური აქტივების (სალიცენზიო ბლანკები და მოწმობები) გამოყენებამ, სატენდერო მასალების გამოქვეყნების ღირებულებამ, ჯამში შეადგინა 11,948.97 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 10);

დასახელება	დაგეგმილი 2014 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
სხვა საერთო ხარჯები. მათ შორის:	270,000.00	258,203.38	–11,796.62
სამედიცინო დაზღვევის თანხები		79,495.00	

ვებ გვერდის და ჰოსტინგის მომსახურება		50,970.14	
შენობის დაცვის ხარჯები		66,000.00	
სანიტარული მომსახურების ხარჯი		450.00	
ლიფტის მომსახურება		1,800.00	
დასუფთავების მოსაკრებელი		3,164.40	
კომპიუტერულ პროგრამული ხარჯები		600.00	
საინფორმაციო მომსახურების გაწევა		4,477.00	
ცვეთა და ამორტიზაცია		9,445.75	
სვა საგადასახადო ხარჯი		3,513.08	
განცხადებების განთავსების და სხვა ხარჯი		2,900.00	
თარგმნითი სამუშაოების ხარჯი		3,430.08	
სოფ.თელეთში რეესტრში გატარების, ექსპერტიზის და ტოპო აზომვითი სამუშაოების სახარჯი		1,967.50	
სხვა საერთო ხარჯი		4,394.56	
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები		23,511.04	

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა 2014 წლის ფაქტიური მონაცემების შესაბამისი პერიოდის მიხედვით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 45,000.00 ლარისა, საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით შეადგინა 26,563.72 (საბიუჯეტო ანარიცხების გარეშე, ფაქტიურმა ხარჯმა შეადინა – 21,250.98 ლარი) ლარი, რაც 18,436.28 ლარით ანუ 40.97%-თ ნაკლებია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 11);

მიმდინარე რემონტის მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა 2014 წლის ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მიუხედავად კომისიის 2014 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი სამუშაოებისა, რომელზეც გამოყოფილი იყო 100,000.00 ლარი, 2014 წელს ამ მუხლით სულ გაიხარჯა – 33,274.63 ლარი ანუ 66,725.37 (66.73%-თ ნაკლები) ლარით ნაკლები. აღნიშნული თანხიდან 1,560.55 ლარი მოხმარდა კომისიის სტაციონალური სადგურის მიმდინარე რემონტს, ხოლო 31,714.08 ლარი გაიხარჯა კომისიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (2 ც. ანტენა და 2 ც. კონტროლ პანელი) რემონტს (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 12);

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ი.აბულაძის ინფორმაცია კომისიის 2014 წლის ბიუჯეტის მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ;
2. დამტკიცდეს წარმოდგენილი 2014 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები:

ა) დარიცხული შემოსავლები:

რეგულირების საფასური და სხვა შემოსავლები-------– 8,272,875.03 ლარი;

ბ) საოპერაციო ხარჯები---------- 9,476,194.56 ლარი;

გ) ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები----------– 245,600.30 ლარი;

3. დამტკიცდეს 2014 წლის ფაქტიური მონაცემების მიხედვით, კომისიის ხარჯების შემოსავლებზე გადამეტება – 1,448,919.83 ლარის ოდენობით;

4. დაევალოთ კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ, მაუწყებლობის რეგულირების და საფინანსო დეპარტამენტებს, სისტემატური კონტროლი დააწესონ ლიცენზიის მფლობელთა და ავტორიზებულ პირთა მხრიდან სალიცენზიო პირობების დაცვის უზრუნველყოფაზე;

5. კომისიის აპარატის შესაბამისმა დეპარტამენტებმა ხელი შეუწყონ "რეგულირების საფასურის შესახებ" საქართველოს კანონის შესრულებას;

6. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს ლიცენზიის მფლობელთა ან/და ავტორიზებულ პირთა მიერ რეგულირების საფასურის გადაუხდელობის ან/და კომისიაში შესაბამისი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს (ი. აბულაძე).

კომისიის თავმჯდომარე	ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი	კ. ბექაური
კომისიის წევრი	გ. ფრუიძე
კომისიის წევრი	მ. ქათამაძე